ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი
სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესები

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ინჟინერიის, მენეჯმენტის, ეკონომიკის ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ასევე სხვა სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და ლოგისტიკის მიმართულებით არანაკლებ 1 წლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე პირს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა (საქართველო მოქალაქეებისთვის).
- შიდა საუნივერსიტეტო წერითი გამოცდა (მოიცავს ინგლისური ენის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად, ასევე ლოგიკური და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს).
- შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა / გასაუბრება.

ზეპირი გამოცდა ტარდება კომისიის წინაშე გასაუბრების ფორმატში, რომლის დროსაც დგინდება აპლიკანტის კომპეტენცია ლოგისტიკის სფეროში. ზეპირი გამოცდის საკითხებია:

- ლოგისტიკის არსი და მისი მნიშვნელობა ეკონომიკაში;
- ციფრული ლოგისტიკის როლი თანამედროვე მიწოდების ჯაჭვებში;
- ლოგისტიკური პროცესები კომპანიაში;
- ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის საფუძვლები.

აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმებია:

- პრეზენტაბელურობა;
- სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი;
- ლოგისტიკის საკითხების ცოდნის დონე;
- სამუშაო გამოცდილება ლოგისტიკის სფეროში.